სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №217/2018

ქ.თბილისი „16“ მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ორისი“** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, **დავით გოთოშიას** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მიერ გაცემული (SMP180001105) თანხმობის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "საქონელი"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის, ფინანსური ანალიზისა და ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტების (CPV48440000) მიწოდება.

2.2. მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **6,949 (ექვსი ათას ცხრაას ორმოცდაცხრა) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა შესაბამის გადასახადებს.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის გამოყოფილი სახსრები.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს დააინსტალიროს პროგრამა ერთ სერვერზე და ლიცენზიების რაოდენობის მიხედვით შესაბამის სამუშაო ადგილზე

4.2. პროგრამის ქსელური ვერსიის ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, „შემსყიდველს“ აქვს უფლება იმუშაოს ქსელში ჩართულ, შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.4. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მოწოდებული განახლების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული განახლების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების გათვალისწინებით;

4.6. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.6.1. მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული საქონელი და თანმდევი მომსახურება (განახლება) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.6.2. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 01 იანვრამდე განუახლოს შემსყიდველს არსებული პროგრამა (აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში);

4.6.3. ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 01 იანვრამდე „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას მიმწოდებლის – შ.პ.ს „ორისის" ტერიტორიაზე.

4.6.4. პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია „როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. შპს „ორისი" არ იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს „ორისი" არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შპს „ორისი" წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ. არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

5. საავტორო უფლება

5.1. კომპიუტერული პროგრამა წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით. ყველა უფლება პროგრამაში ინტეგრირებულ Microsoft Visual Basic for Applications-ზე ეკუთვნის კომპანია Microsoft-ს.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება (განახლება) მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირ(ებ)ი;

7.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

7.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და/ან სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9. ფასები

9.1. მოსაწოდებელი განახლების და თანმდევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.4. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. ხელშეკრულების 4.6.1. მუხლით გათვალისწინებული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო, არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობი ყოველ ასეთ შემთხვევაზე;

11.3. ხელშეკრულების 8.2. პუნქტში მითითებული ვადების დარღვევისათვის, „შემსყიდველს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გაწეული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.4. იმ შემთხვევაში, ხელშეკრულების 11.1. და 11.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

11.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 01 იანვრამდე.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო**	**შ.პ.ს. "ორისი"**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 ტელ: (032) 291 – 67-67(3071) მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ანგ.N200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 2060033754 თბილისი, ყაზბეგის ქუჩა №12 ბ, V სართული ტელ: (032) 238 -43-43 მომსახურე ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" ბ.კ. – BAGAGE22 ამგარიში: GE88BG000000012012160
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**გენერალური დირექტორი** _____ **დავით გოთოშია**

#	საქონლის/მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება სულ (ლარი)
1	ორის-მენეჯერის სამუშაო ადგილის (ქსელში) ლიცენზიის განახლება MN1/U	მომხმარებელი	8	740.50	5,924.00
2	ორის-მენეჯერის სერვერის ლიცენზიის განახლება MSL/U	მომხმარებელი	1	1,025.00	1,025.00
	ს უ ლ				6,949.00

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	**შ.პ.ს. "ორისი"**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 ტელ: (032) 291 – 67-67(3071) მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ანგ.N200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 2060033754 თბილისი, ყაზბეგის ქუჩა №12 ბ, V სართული ტელ: (032) 238 -43-43 მომსახურე ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" ბ.კ. – BAGAGE22 ამგარიში: GE88BG000000012012160
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი**	**გენერალური დირექტორი** **დავით გოთოშია**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ **შპს „ორისი“-ს** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენო“-ს
უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

ადმინისტრაციის დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირები:

1. **თამარ გურაშვილი** ----------
2. **მაკა დვალიშვილი** ----------